განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2024 წლისათვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8.7 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

გაიზარდოს 2024 წლის ბიუჯეტი სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **4 350 811 ლარით:**

მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან - **555 000** ლარი (ქონების გადასახადი 300000 ლარით, შემოსავლები პროცენტებიდან 55000 ლარით, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (საპირგამტეხლო თანხები) 200000, ხოლო სახელმწიფო ფონდებიდან თანხები ჯამში შეადგენს **3 795 811** ლარს.

აღნიშნული ცვლილების შედეგად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი იქნება **78 108 760** ლარი.

სახელმწიფო ფონდებიდან გამოიყო დამატებითი თანხები

1. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 ივლისის #1060 განკარგულებით ცვლილება შევიდა 2023 წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #2402 ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულებაში, რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 1800000 (ერთიმილიონ რვაასი ათასი) ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის.

N	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	2024 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	პროექტის კატეგორია	ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	რეგ.ფონდი
1	გურია	ოზურგეთი	ქ. ოზურგეთში (ანასეული)სიბტროპიკებ ის ქუჩის რეაბილიტაცია	გზა	12,500	237,500
2	გურია	ოზურგეთი	სოფელ ლიხაურში (კვაჭალათი) შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები	გზა	8,602	163,425
3	გურია	ოზურგეთი	ქ. ოზურგეთში, დოლიძის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები	გზა	0	200,000

4	გურია	ოზურგეთი	გურიანთაში მე-19 ქუჩის რეაბილიტაცია	გზა	47,840	142,160
5	გურია	ოზურგეთი	ქ. ოზურგეთი, სულხან-საბას და ბარათაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა	სანიაღვრე არხი	40,288	119,712
6	გურია	ოზურგეთი	წვერმაღალა 25-ე ქუჩის რეაბილიტაცია	გზა	62,950	187,050
7	გურია	ოზურგეთი	სოფ. ოზურგეთში ხელვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა	სტადიონი	25,180	74,820
8	გურია	ოზურგეთი	ლიხაურში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა	სტადიონი	25,180	74,820
9	გურია	ოზურგეთი	შრომაში ხელვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა	სტადიონი	29,208	86,792
10	გურია	ოზურგეთი	დანჩენკოს ქუჩაზე სკვერის მოწყობა	სკვერი	18,129	53,871
11	გურია	ოზურგეთი	ქ. ოზურგეთი, დ. ბაქრაძის მე-2 შესასხვევი N1ა სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	სტადიონი	37,770	112,230
12	გურია	ოზურგეთი	ქალაქ ოზურგეთში მალაზონიას ქუჩაზე (კორტების მიმდებარედ) სანიაღვრე არხის მშენებლობის სამუშაოები	სანიაღვრე არხი	31,223	92,777
13	გურია	ოზურგეთი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ნატანებში რკ/გზის სადგურთან მე-15 ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები	გზა	99,170	254,843
					438,040	1,800,000

2. 2024 წლის 5 აგვისტოს #1101 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2023 წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #2400 განკარგულებაში ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **1 500 000** (ერთიმილიონ ხუთასი თასი) ლარი.

3. 2024 წლის 23 ივლისის #1025 განკარგულებით ,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **495 811** (ოთხას ოთხმოცდათხუთმეტიათას რვაას თერთმეტი) ლარი. თანხა აისახა ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“-ში.

4. ადგილობრივი თანხებით გაიზარდა ,,მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ მიზნით თანადაფინანსება ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“-ში 450000 ლარით.

5. საკუთარი შემოსავლებიდან სატრანსპორტო კომპანიას გაეზარდა სუბსიდია **100 000 ლარით. ახალი ავტობუსების ხარჯების უზრუნველყოფის მიზნით (საწვავი, მძღოლების ხელფასები);**

6. საკუთარი შემოსავლებიდან კულტურის ობიექტების დაფინანსება, ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლას გაეზარდა სუბსიდია **5 000 ლარით კომუნალური ხარჯების გაწევის მიზნით;**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს **78108,76** ათას ლარს.

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია 2 ძირითადი ფაქტორით, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2024 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8.4 პროცენტით. შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 8.4 %-ს. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2024 წლისათვის მოსალოდნელია 5.0%-ის ოდენობით;

ა) პრიორიტეტების დაფინანსება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
00 00	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	78,108.76	32,662.34	45,446.43

01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	9,922.10	900.70	9,021.40
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	43,218.37	29,354.86	13,863.51
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	4,163.00	-	4,163.00
04 00	განათლება	10,556.26	1,976.74	8,579.52
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	7,045.00	-	7,045.00
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,884.03	430.03	2,454.00
07 00	ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა	320.00	-	320.00

ბ) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური